ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 192

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: №01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; №01.18.01.004.326, ფართობი -5 335 კვ.მ; №01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; №01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; №01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; №01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3 და 39^5 მუხლებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: №01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; №01.18.01.004.326, ფართობი -5 335 კვ.მ; №01.18.01.004.322, ფართობი -3 435 კვ.მ; №01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; №01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; №01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.666.750 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: №01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; №01.18.01.004.326, ფართობი -5 335 კვ.მ; №01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; №01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; №01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; №01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება:

- №01.18.01.004.321, ფართობი 2 739 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;
- №01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- №01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვმ.- კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;
- №01.18.01.004.325, ფართობი 5 010 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- №01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- №01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ. კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის - 3 955 421.73 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოცდაერთი და სამოცდაცამეტი მეასედი) ლარის, გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების №300773297 სახაზინო კოდზე.

3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

4. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე